ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № ЦЦ-45

ქ. თბილისი **17 ოქტომბერი 2018 წ.**

1. **ხელშეკრულების მხარეები**

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა" (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის უჩა ძოძუაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ალმანიკო" (შემდგომში–მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის რობერტ ბოკოვის სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის „ა" პუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. **ხელშეკრულების ობიექტი და საგანი**

2.1. ხელშეკრულების ობიექტი და საგანია შემსყიდველის საკუთრებაში არსებული 2 ერთეული ავტომანქანის (კია რიო, სახელმწიფო ნომრები: BB-492-VV; BB-482-VV) სალონის ქიმწმენდის მომსახურების (CPV 501212300) შესყიდვა.

2.2. მომსახურების განხორციელება მოხდება 2 (ორი) ერთეულ ავტომანქანაზე: კია რიო, სახელმწიფო ნომრები: BB-492-VV; BB-482-VV.

3. **ხელშეკრულების ჯამური ღირებულება**

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში და შეადგენს 200.00 (შვიდას ორმოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარს, რომელიც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

3.2 ერთი ერთეული ავტომანქანის სალონის ქიმწმენდის მომსახურების ღირებულება შეადგენს 100.00 (ასი ლარი და 00 თეთრი) ლარს, რომელიც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადები და ადგილი

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გაუწიოს მომსახურება შეკვეთის მიღებიდან არაუგვიანეს 24 (ოცდაოთხი) საათის განმავლობაში. შემსყიდველი შეკვეთას განახორციელებს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღეში.
4.2. მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. თბილისი, ლიუბლიანას ქ. #7.

5. ხელშეკრულების ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურების გაწევისას თან დაურთოს მომსახურების თანმხლები დოკუმენტაცია.
5.2. მომსახურების გაწევა დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.
5.3. შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება მიეცეს სსიპ სსსტც „დელტა"-ს ლოგისტიკის დეპარტამენტის უფროსი ზურაბ მიქაშავიძე.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

6.1. მხარეები ანგარიშსწორებას ანხორციელებენ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით საქართველოს ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
6.2. ანგარიშწორება განხორციელდება ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
6.3. ანგარიშსწორება განხორციელდება სსიპ სსსტც „დელტას" 2018 წლის საკუთარი სახსრებით.
6.4. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მომსახურების გაწევის დღიდან არაუმეტეს 10 საბანკო დღისა აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯამური ღირებულება.

7. მხარეების უფლება-მოვალეობანი

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:
7.1.1. შემსყიდველ ორგანიზაციას დათქმულ დროსა და ადგილზე გაუწიოს უნაკლო მომსახურება, რომელიც აკმაყოფილებს არსებულ სტანდარტებს.
7.1.2. მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების (მათ შორის უხარისხოდ, არასრული მოცულობით, საჭირო დოკუმენტაციის გარეშე) შემთხვევაში დაეკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0,02% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
7.1.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.1.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების დათქმულ ვადაში ანაზღაურება.

7.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

7.2.1. მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში აუნაზღაუროს ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

7.2.2. მიმწოდებლისგან მიიღოს მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

7.2.3. ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს გადაუხადოს პირგასამტეხლო, ყოველ გადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02% ოდენობით.

7.3. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია:

7.3.1. მიმწოდებლისგან ითხოვოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და ადგილზე გაწევა.

7.4. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.5. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.6. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით. შეთანხმების შემთხვევაში გადავადებულ პერიოდზე მხარეს არ დაეკისრება პირგასამტეხლო.

7.7. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.8. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.9. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირებს მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

8. სუბკონტრაქტორები

8.1. მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების ფარგლებში დასადები ყველა სუბკონტრაქტი უნდა გაფორმდეს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ სუბკონტრაქტის დადების ან სუბკონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

8.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

8.4. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9. ფორს-მაჟორული სიტუაციები

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

9.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელსაც აქვს წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი და არ არის დაკავშირებული შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ფორს-მაჟორი შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური უბედურებებით და სხვა გარემოებებით.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1. შემსყიდველი ორგანიზაციას უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის მომსახურების ხარისხის ინსპექტირება

10.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

10.3. ხელშეკრულების ობიექტის მიწოდების ვადების დაცვის კონტროლს განახორციელებს სსსტც „დელტას" სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი შალვა თეთრაძე.

11. სხვა პირობები

11.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრამდე.

11.2 მხარეთა შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავა წყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს წყვეტს სასამართლო.

11.3 იმ შემთხვევაში თუ მომსახურების გაწევისას დაზიანდა ავტოსატრანსპორტო საშუალება შემსყიდველი ორგანიზაცია არ არის ვალდებული აანაზღაუროს ზიანი.

11.4 ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელება დაუშვებელია, თუ იმ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების

პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

11.5 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია, მხოლოდ ორივე მხარის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

11.6 ორივე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას. აგრეთვე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეები წერილობით აცნობებენ ერთმანეთს.

11.7 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციას, ხოლო მეორე ეგზემპლარი – მიმწოდებელს.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა"
მისამართი: ქ. თბილისი, მნათობის ქ. #73
ტელ./ფაქსი: 2955027
საიდენტიფიკაციო კოდი 202297335
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება-ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ანგარიში /სახაზინო კოდი: 707297065

გენერალური დირექტორი

_____

უჩა ბოძუაშვილი

მიმწოდებელი:

შპს "ალმანიკო"
მისამართი: ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ. #62ა
ტელ.: 571140083
საიდენტიფიკაციო კოდი 205273693
საბანკო რეკვიზიტები:
სს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი : BAGAGE 22
ა/ა GE14BG0000000335987800

დირექტორი

_____

რობერტ ბოკოვი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ.თბილისი

17.10.2018 წ.

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, გავეცანით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლს „ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები“ და ხელმოწერით ვადასტურეთ, რომ სსიპ სსსტც „დელტას“ მიერ 2018 წლის 17 ოქტომბრის №სკ45 ხელშეკრულებით განსაზღვრულ მომწოდებელთან შპს "ალმანიკო", ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტას“ გენერალური დირექტორი:

1. უჩა ძოძუაშვილი

_____

სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტას“ ლოგისტიკის დეპარტამენტის უფროსი:

2. ზურაბ მიქაშავიძე

_____

სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტას“ სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი:

3. ვლადიმერ გაბოძე

_____

სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტას“ სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი:

4. დავით ძოწენიძე

_____